პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ეროვნული ბიბლიოთეკა



26 ნოემბერი

კვირა,

1961 წ.

№ 192 (1828)

გამოცემის მე-18 წელი.

ფასი 3 კაპ.

## უძლიერესთა სიაში

ცურვის საკავშირო ფედერაციამ ამას წინათ შეადგინა 10 უძლიერესის სია მიმდინარე სეზონის მაჩვენებლებით 1 ნოემბრისათვის. ქალთა პროგრამის 6 სახეობიდან 60 უძლიერესში ჩვენი რესპუბლიკიდან მოხვდა მხოლოდ ერთი წარმომადგენელი — ე. შავდია („დინამო", თბილისი) და მას 100 მ ზურგზე ცურვაში X ადგილი უკავია, იგი ლიდერს, მოსკოველ გ. ეგოროვას ჩამორჩება 4,3 წამით.

გ. ეგოროვა პირველ ადგილზეა ბრასით 100 და 200 მეტრზე ცურვაშიც. 100 მ თავისუფალი სტილით ცურვაში ათეულს სათავეში უდგას ლვოველი გ. სამოვაროვა, რომელსაც წელს შეუსრულდა 18 წელი. 400 მ თავისუფალი სტილით ცურვაში პირველ ადგილზეა ლ. ვიქტოროვა (მოსკოვი) ხოლო ბატერფლაით 100 მეტრზე ცურვაში — კ. პოზნიაკი (ლვოვი).

აღსანიშნავია, რომ გასული წლის 10 უძლიერესის, შედეგებთან შედარებით წელს საგრძნობლად შემცირდა ლიდერთა მაჩვენებლები, შარშან მ. შამელს 100 მ თავისუფალი სტილით ცურვაში 3 წამით უკეთესი შედეგი ჰქონდა, ვიდრე წლევანდელ ლიდერს გ. სამოვაროვას — 1.07,1.

## სპორტი—ხელოვნება

გინდათ ნახოთ ევროპის უძლიერესი წყვილი ფიგურულ სრიალში? იჩქარეთ თბილისის სპორტის სასახლეში, სადაც ამჟამად მიმდინარეობს ჩეხოსლოვაკიის ყინულზე ბალეტის — „ევროპის გულში" გასტროლები. აქ ვერა სუხანკოვა და ზდენეკ დოლეჟალი ასრულებენ ცეკვას „ჩეხური კრისტალი", რომელიც ერთ წამში გადაგასახლებთ რომელიღაც სხვა სამყაროში — სილამაზის, გრაციის, მოქნილობის — ერთი სიტყვით, ხელოვნების ჯადოსნურ სამყაროში და განგაცდევინებთ დაუვიწყარ წუთებს, ამასთან, ალგაფრთოვანებთ შემსრულებელთა ვირტუოზული სპორტული ოსტატობა. და ეს სრულიად კანონზომიერი მოვლენაა: ისევე როგორც მხატვრული ტანვარჯიში და სპორტის მთელი რიგი სხვა სახეობანი. ფიგურული სრიალი მეტად ახლოს დგას ხელოვნების სფეროსთან, ენათესავება მას და წარმოადგენს სპორტისა და ბალეტის, ცირკების ხელოვნებისა და ქორეოგრაფიული ათლეტურობის მეტად ჰარმონიულ, თუმცა სპეციფიკურ შერწყმას. აქედან გამომდინარე, არც ისაა გასაკვირველი, რომ ყინულზე ბალეტის მონაწილეთა დიდი ნაწილი სპორტის გამოჩენილი ოსტატები არიან — თავიანთი ქვეყნისა და თვით ევროპის არაერთგზის ჩემპიონებიც კი!

ვერა სუხანკოვა და ზდენეკ დოლეჟალი, რომლებიც ჩვენ ზემოთ ვახსენეთ, ევროპის ორგზის ჩემპიონები არიან წყვილთა სრიალში და მათ მიერ სპორტის სასახლეში შესრულებულ ცეკვებსაც უტყუარად აზის დიდი სპორტული ხელოვნების დაღი, ამ ცეკვებში უთუოდ იგრძნობთ „ჩემპიონთა ხელწერას".

და განა მარტო ისინი!.. ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი მილენა კლადრუბსკა თავის მშვენიერ ცეკვებს უაღრესად სპორტულ საფუძველზე აგებს. მის კომბინაციებში უხვად არის გამოყენებული წმინდა სპორტული, ფიგურული სრიალის ხტომები, ბრუნები, პირუეტები და სხვა ილეთები, რომლებიც უფრო მკვეთრ, მკაფიო ელფერს სძენენ ცეკვებს და საინტერესო სანახავს ხდიან მათ სპორტული თვალსაზრისითაც.

იგივე ითქმის ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთი უძლიერესი სპორტსმენის იანა კიანკოვას შესახებაც. მის მიერ შესრულებულ „თოჯინას ცეკვაში", ეფექტურ ცეკვაში „ჩონჩხთან" და სხვ. პირდაპირ თავბრუს დაგახვევთ ელვისებური ბრუნვები, რომლებიც სპორტსმენ-ბალერინას ბზრიალას ამსგავსებს, და სუნთქვას შეგიკრავთ გაბედული ნახტომები, რომლებიც საბალეტო კომპოზიციებშია ჩართული.

ერთი სიტყვით, ჩეხოსლოვაკიის ყინულზე ბალეტის ყველა მსახიობი ამავე დროს შესანიშნავი სპორტსმენიცაა და ეს გარემოება იგრძნობა ყველა ცეკვაში — ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონ ინდრა კრამპეროვას სოლოში, ვერა სუხანკოვასა და ზდენეკ დოლეჟალის „გვირილაში", იანა ზაპლეტალოვასა და მიროსლავ გოდანის წყვილთა ცეკვაში, ლიუდმილა განოუსკოვასა და ლეოპოლდ კრეიჩინის „იაპონურ-მექსიკურ" ვარიაციებში, მშვენიერ ჩეხურ ხალხურ ცეკვებში, კომიკურ გამოსვლებში და ა. შ.

სპექტაკლს „ევროპის გულში" გარკვეული სიუჟეტური ხაზი აქვს, რომლის საფუძველიცაა ტურისტების მოგზაურობა ჩეხოსლოვაკიაში. ჩვენის აზრით, ეს სიუჟეტური ხაზი ცოტა არ იყოს პირობითია, ორგანულად არ გასდევს ცალკეული ცეკვების კრიალოსანს და მნიშვნელოვანწილად სწორედ მისგან მომდინარეობს წარმოდგენის პირველი ნაწილის ოდნავ დუნე ხასიათი. სამაგიეროდ, შთაბეჭდილება ერთბაშად ძლიერდება მეორე განყოფილებაში და მაყურებლის ამ ამაღლებულ განწყობილებას ბოლომდე აძლევს საკვებს შესანიშნავი ხალხური ცეკვები, ბრწყინვალე ხოლოები.

ვ. ჯუღელი



სურათებზე: ზევით მარჯვნივ — ზ. დოლეჟალი და ვ. სუხანკოვა. ქვევით — ი. კანკოვა ცეკვის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ჩემპიონის ფიასკო

შაიბიან ჰოკეიში სსრ კავშირის პირველობაზე გასული წლის ჩემპიონს — ცსკა-ს ერთი ტურის წინ ჰქონდა 13 ქულა 9 თამაშიდან და გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე იმყოფებოდა, თავიანთი ბოლო მატჩი ჩელიაბინსკის „ტრაქტორთან" არმიელებმა მოიგეს „ასტრონომიული" ანგარიშით — 10:0. ეს გუნდის სერიოზული განაცხადი იყო ჩემპიონატის სტარტზე განცდილი წარუმატებლობის შემდეგ.

მაგრამ აი, განვლო კიდევ ერთმა ტურმა და ცსკა-ს იგივე 13 ქულა დარჩა და მნიშვნელოვნად შეერყა შანსები თავისი წოდების შესანარჩუნებლად. საკმარისია ითქვას, რომ „ფორმალურად" მასზე უკან მყოფი გუნდებიდან სამს ცსკა-ზე გაცილებით უკეთესი მდგომარეობა აქვს. ესენია მოსკოვის გუნდები: „სპარტაკი" — 7 თამაშიდან 12 ქულა, „დინამო" — 8-დან 12 და „კრილია სოვეტოვი" — 7-დან 10.

გასული წლის ჩემპიონმა მოსკოვის „დინამოსთან" მატჩში დიდი ფიასკო განიცადა. მის კარში ამოჩნდა შაიბების სარეკორდო რაოდენობა — 14!.. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკანასკნელ პერიოდამდე, რომელიც დამთავრდა ანგარიშით 5:5, ცსკა აგებდა „მშრალი" ანგარიშით — 0:9.

გათამაშებას კვლავ დამაჯერებლად ლიდერობს მოსკოვის „ლოკომოტივი", რომელსაც ჯერ არ დაუკარგავს არც ერთი ქულა (მის აქტივშია 16 ქულა) და აქვს შაიბების საუკეთესო შეფარდება — 54:13,

### წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ფეხბურთში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა თბილისის „ლოკომოტივის" მწვრთნელს ზ. ქვარიანს.

## იაპონელები კმაყოფილნი არიან

კიევსა და ერევანში გამართული შეხვედრებით დაამთავრეს თავიანთი საერთაშორისო შეხვედრები საბჭოთა კავშირში იაპონიის თავისუფალი და კლასიკური სტილით მოჭიდავეებმა. უკრაინელებთან შეხვედრაში უკანასკნელი ორი წონის წინ (თავისუფალ ჭიდაობაში) წინ იყვნენ სტუმრები — 4:2. ქვემძიმე წონაში სხვაობა ანგარიში მინიმუმამდე დაიყვანა ბ. გურევიჩმა. მძიმე წონაში უკრაინელებმა კვლავ ქულა მიიღეს.

ერევანში შედგა შეხვედრა კლასიკურ ჭიდაობაში, სადაც სტუმრები დამარცხდნენ —1:7.

ამრიგად, კლასიკურ ჭიდაობაში იაპონელებმა 4 მატჩი გამართეს როსტოვში, თბილისში, ბაქოსა და ერევანში და ყველგან დამარცხდნენ. მათ 32 შეხვედრიდან მხოლოდ 4 მოიგეს, 3 დაამთავრეს ფრედ და 25 შეხვედრაში განიცადეს დამარცხება, მაგრამ სტუმრები ეტყობა კმაყოფილი არიან, ვინაიდან როგორც დელეგაციის ხელმძღვანელმა ც. ტატეკომ განაცხადა, „მათ ბევრი რამ შეიძინეს და შეავსეს თავიანთი ტექნიკური არსენალი",

## გამოფენა კავშირების სახლში

მოსკოვში კავშირების სახლში გაიხსნა გამოფენა „სსრ კავშირის პროფკავშირები", სადაც ლამაზად გაფორმებული სტენდები მოგვითხრობენ პროფკავშირების საქმიანობის ყველა სფეროზე. აქ არის საბჭოთა მშრომელების საქმიანობის ამსახველი სტენდები, პროფესიონალური კავშირების ისტორია, მისი როლი კომუნისტურ მშენებლობაში და სხვ.

გამოფენაზე ცალკე განყოფილება აქვს დათმობილი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში, პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის ამსახველ დოკუმენტებს მშრომელთა ფართო მასებში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვაში. ერთ-ერთი სტენდი მოგვითხრობს პროფკავშირების VII საკავშირო სპარტაკიადის მსვლელობას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 13 მილიონმა კაცმა. დიდი ადგილი აქვს დათმობილი მშრომელთა დასვენების კერებს. ფოტოსურათებზე თქვენ ნახავთ ჩვენი ქვეყნის გამაჯანსაღებელ ობიექტებს — „დომბაის", „მზიური ველის" ტურბაზებს. აქვეა ახალ მშენებლობათა მაკეტები. თებერდაში მაღალმთიან ადგილზე აშენდება სასტუმრო „ახალგაზრდობა", რომელიც ერთდროულად 400 ტურისტს მიიღებს.

ერთ-ერთ დარბაზში მნახველი ეცნობა პროფკავშირების სპორტსმენებს — მსოფლიო, ევროპის, ოლიმპიურ ჩემპიონებს, რეკორდსმენებს. ჩვენი ქვეყნის სხვა გამოჩენილ სპორტსმენებთან ერთად აქ ნახავთ საქართველოს წარმომადგენლების პორტრეტებსაც.

## მოკრძალებული ვიზიტი

ნახ. ა. რევაზიშვილისა.




# საზეიმო დახურვა



ვრნიაჩკა-ბანია (ტელეფონით), 25 ნოემბერი. დილით მოხდა სამი გადადებული პარტიის დამთავრება, რომლებსაც უნდა გაერკვია მესამე პრიზიორი. ზვორიკინამ მოულოდნელად მოუგო კონარკოვსკას. ლეინი დამარცხდა პოლიქრონიადესთან, ხოლო ნედელკოვიჩი-ნიკოლაუ ყაიმზე შეთანხმდნენ. ამით დამთავრდა პრეტენდენტთა ტურნირი.

საღამოს კინოთეატრის შენობაში მოეწყო ტურნირის საზეიმო დახურვა, რომელსაც დაესწრნენ ბელგრადიდან სპეციალურად ჩამოსული იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციის, ფიდეს, იუგოსლავიაში საბჭოთა ხელჩოს წარმომადგენლები, გროსმაისტერები, ოსტატები, ჟურნალისტები და ჭადრაკის მოყვარულები. დარბაზში ტევა არ იყო.

საზეიმო ცერემონიალი გახსნა ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, რომელიც ვრცლად შეეხო ნ. გაფრინდაშვილის თვალსაჩინო წარმატებას.

ტურნირის მთავარმა მსაჯმა ზ. სტანჩევმა (ბულგარეთი) დამსწრეებს გააცნო შეჯიბრების ტექნიკური შედეგები. I ადგილი დაიკავა ნ. გაფრინდაშვილმა — 13 ქულა, II ადგილი—ვ. ბორისენკომ — 11 ქულა, III ადგილი — კ. ზვორიკინამ — 10 ქულა, IV-V-VI ადგილები გაიყვეს ტ. ზატულოვსკაიამ, მ. ლაზარევიჩმა და ვ. ნედელკოვიჩმა — 9,5 ქულა თვითეულს, VII-VIII ადგილებზე 9-9 ქულით გავიდნენ ლ. ვოლპერტი და ე. ნიკოლაუ და ა. შ.

ამის შემდეგ ფიდეს წარმომადგენელმა ნ. გაფრინდაშვილს გადასცა პირველი პრიზი 100.000 დინარი. ქარხანა „მაგნოხრომმა“ დააჯილდოვა იგი სპეციალური პრიზით — უნივერსალური რადიომიმღებით, ვრნიაჩკა-ბანიის „ინტურისტის“ თავმჯდომარემ — იუგოსლავიის ხედების ალბომითა და კაკლის ხისგან გამოთლილი ხილის ლარნაკით.

სიტყვით გამოვიდა ნ. გაფრინდაშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა შეჯიბრების ორგანიზატორებს, მსაჯებს, ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ტურნირის ჩინებულად ჩატარებაში.

პრიზები და საჩუქრები მიიღო ტურნირის ყველა მონაწილემ. პიონერებმა გულთბილად მიულოცეს დიდი საჭადრაკო ზეიმის დამთავრება გამოჩენილ მოჭადრაკეებს.

დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი, რის შემდეგ ვრნიაჩკა-ბანიის სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარემ მოჭადრაკეები ბანკეტზე მიიწვია სასტუმრო „მერკურში“.

ტურნირის საზეიმო დახურვის ცერემონიალი ტრანსლირებულ იქნა იუგოსლავიაში რადიოთი და ტელევიზიით. ბელგრადის კინოსტუდიამ საზეიმო დახურვა ფირზე აღბეჭდა.

გვიან ნ. გაფრინდაშვილთან მივიდა გროსმაისტერი ს. გლიგორიჩი თავისი 15 შეკითხვით, რომელთა უმრავლესობა შეეხებოდა ნონას საჭადრაკო ზრდისა და წარმატებების, მწვრთნელთან მუშაობის საკითხებს.

26 ნოემბერს დილით ტურნირის მონაწილენი გაემგზავრებიან ბელგრადში, სადაც ორ დღეს დარჩებიან. 29 ნოემბერს საბჭოთა მოჭადრაკეთა დელეგაცია მოსკოვში ჩამოვა.

# მკითხველთა მოთხოვნით

ახლა, ტურნირის დამთავრებისთანავე ძნელია ფართოდ შეეხო ნ. გაფრინდაშვილის შემოქმედებას, რომელიც მან პრეტენდენტთა ბრძოლაში გამოავლინა. მას დრო სჭირდება, მაგრამ მკითხველების თხოვნის პასუხად ვაქვეყნებთ ნ. გაფრინდაშვილის რამდენიმე პარტიას მოკლე შენიშვნებით.

* * *

იერიშის მომზადება დიდი ხელოვნებაა. ხშირად ღრმა, თითქოს უვნებელ მანევრებს მოჰყვება თავზარდამცემი შტურმი. აი ასეთი ხასიათისაა ნ. გაფრინდაშვილის ქვემოდ მოყვანილი პარტია.

**პ. კონარკოვსკა — ნ. გაფრინდაშვილი**

ესპანური პარტია

**1.e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 d6 8. c3 0—0 9. h3 მa5 10. კc2 c5 11. d4 cd** (სწორეა 11. ... ლc7) **12. cd ლc7 13. მc3 კb7 14. d5 კc8 15. მe2 კd7 16. მg3 მe8 17. კd3 ეc8 18. მh2 ლd8 19. მg4 კg5 20. მe3 g6 21. ლe2 მg7 22. b4 მb7 23. მgf1**



გაფრინდაშვილმა მანევრულ თამაშში ააგო შემტევი პოზიცია. ახლა იგი თავის სტიქიაშია და წარმატებით მიჰყავს იერიში.

**23. ... f5 24. მh2 მh5 25. ლd1 მf6 26. ef e4 27. კe2 gf 28. a4 f4 29. მg4 h5 30. მ:f6 ლ:f6 31. ეa2 f3 32. კ:g5 ლ:g5 33. კf1 კ:h3 34. g3 კ:f1 35. მ:f1 h4 36. ლb1** და თეთრებმა დროს გადააცილეს.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვ. ბორისენკო მტკიცე პოზიციური სტილის მოჭადრაკეა. მას ჭადრაკის „აკადემიკოსს“ უწოდებენ დებიუტების თეორიის ზედმიწევნითი ცოდნის გამო. მასთან პარტიაში ნ. გაფრინდაშვილმა გამოავლინა თავისი ტალანტი იერიშის წარმოებაში, ეს პარტია ერთ-ერთ საუკეთესოდაა აღიარებული ტურნირზე.

**ნ. გაფრინდაშვილი — ვ. ბორისენკო**

სიცილიური დაცვა

**1. e4 c5 2. მf3 მc6 3. კb5** (სისტემა, რომელიც ნაკლებადაა შესწავლილი) **3. ...d6 4 0—0 კg4 5. ეe1 ლb6 6. კe2 მf6 7. d3 g6 8. მbd2 ლc7 9. მc4 კ:f3 10. კ:f3 კg7 11 c3 მd7 12. კe2 0—0 13. f4 e6 14. მe3 f5 15 g4!** (გაფრინდაშვილის სტრატეგიაა შეტევა მეფის ფრთაზე. იგი არ ერიდება თამაშის გახსნას) **15. ..fe 16. de მb6 17. f5** (თამამი გაგრძელება) **ef 18. gf ლe7**



**19. მd5!** (იერიშის საუკეთესო გაგრძელება. პაიკის შეწირვის შემდეგ თეთრების ფიგურების აქტიობა საგრძნობლად იზრდება) **ლ:e4 20. მ:b6 ab 21. კd3 ლd5 22. ლe2 მe5 23. კe4 ლf7 24. ლg2 მფh8 25 fg მ:g6 26. კg5!** (ღრმად გააზრებული მანევრი, რომელსაც ბოლოს მოჰყვა მატერიალური უპირატესობა) **მe5 27. ეf1 ლh5 28. კe7! ე:f1+ 29. ე:f1 ლh6 30. მფh1 ე:a2?** (ახლა შავები სწრაფად აგებენ) **31. კg5 ე:b2 32. ლ:b2 ლ:g5 33. ლ:b6 ლe7 34. კ:b7 მg6 35. კd5 კ:c3 36. ლb8+მფg7 37. ეf7+ლ:f7 38. კ:f7 მფ:f7 39. ლb3+მფe7 40. ლ:c3** შავები დანებდნენ.

უპირატესობის მისაღებად გარკვეული მნიშვნელობა აქვს დებიუტის სწორ გათამაშებას. მაგრამ ზოგჯერ მოჭადრაკეები აქ უშვებენ შეცდომას, ხოლო ოსტატი ამ შეცდომას მოგებისათვის იყენებს. ასეც მოიქცა ნ. გაფრინდაშვილი შემდეგ პარტიაში.

**ლ. ვოლპერტი — ნ. გაფრინდაშვილი**

ლასკერის მიღებული გამბიტი

**1. d4 d5 2. c4 dc 3. მf3 მf6 4. e3 e6 5. კ:c4 c5 6. 0—0 a6 7. ლe2 b5 8. კd3 cd 9. მ:d4** (სწორია 9. ...ed. ახლა რამდენიმე ენერგიული სვლით გაფრინდაშვილი ეუფლება ინიციატივას) **9. ..e5! 10. მb3 e4 11. კc2 კd6 12. f3** (საჭიროა სოლივით შემოჭრილი პაიკის უვნებელყოფა) **12. ...ef** (უკეთესია 12. ...ლe7) **13. gf 0—0 14. მc3 კb7 15. მd4 g6** (ძიმდინარეობს ფიგურების განვითარება. შავები გზას ულობავენ მხედრებს) **16. ლg2 მფh8 17. კd2 ლe7 18. მce2 მbd7 19. e4 ეac8 20. ეac1 ეc5** (შესანიშნავი მანევრი. თეთრი მეფის თავზე იღრუბლება) **21. კd3 მe5 22. კb. მc4 23. კh6 ეfc8 24. მg3 მh5 25. b3 მa3 26. კd3 კf4 27. კ:f4 :f4 28. ლd2 ლg5.**

მდგომარეობა გაირკვა. შავების მუქარები სასიკვდილოა.

**29. ეcd1 ეd3 30. ლb4 ლe5 31. მge2 მ:d3 32. ლ:a3? ე:d4 34. b4 ლg5+** თეთრები დანებდნენ, რადგან შავები ზედმეტი ფიგურით რჩებიან.

ძველად ა. ალიოხინი, ჩვენს დროში კი მ. ტალი და ბ. სპასკი თამამად სწირავდნენ პაიკს ინიციატივისათვის. ნ. გაფრინდაშვილსაც უყვარს პაიკის შეწირვა, როცა არსებობს ამისათვის ხელსაყრელი მომენტი. მხოლოდ თავის ძალებში დარწმუნებულ მოჭადრაკეს შეუძლია წავიდეს ასეთ მსხვერპლზე. ნონა რომ ასეთი არ ყოფილიყო, ალბათ, წააგებდა პოლიქრონიადესთან პარტიას, რომელიც ქვემოთ მოგვყავს.

**ნ. გაფრინდაშვილი — ე. პოლიქრონიადე**

ოთხი მხედრის დაცვა

**1. e4 e5 2. მf3 მc6 3. მc3 მf6 4. d4 კb4** (უკეთესი იქნებოდა 4. ... ed 5. მd5 კe7) **5. d5 მe7 6. მ:e5 d6 7. კb5+მფf8 8 მf3 მ:e4 9. 0—0.**

გაფრინდაშვილისათვის დამახასიათებელი სვლა. იგი გაბედულად სწირავს პაიკს ინიციატივისათვის.

**9. ... მ:c3 10. bc კ:c3 11 ეb1 b6 12. მd4 კd7 13. კc4 კ:d4 14. ლ:d4 f6 15. კd3 მფf7 16 ლh4 კf5** (პოლიქრონიადე ზუსტად იცავს თავს) **17. კ:f5 მ:f5 18. ლh3 ლc8 19. ეe1 მe7 20. ლd3 ლd7 21 კd2 ეae8**



**22. h4** (იერიშის დაწყების ნიშანი. შავი მეფის მდგომარეობა არ არის საიმედო. ბრძოლა ძალიან რთულდება) **22. ..მg6 23. h5 მe5 24. ლc3 ლc8 25. ეb4! მd7 26. ეf4 ე:e1+ 27. კ:e1 ეe8 28. კd2 ეe5** (აქედან თამაში მიმდინარეობს ორმხრივ ცაიტნოტში) **29. ლf3 ეe7 30. h6 მe5 31. ლh5+g6** (ჯობდა 31. ... მფg8) **32. ლg5 მფg8** (თუ 32. ... f5, მაშინ 33. g4!) **33. ე:f6 ეf7 34. f4 მd7 35. ე:g6+! hg 36. ლ:g6+მფf8 37. h7 მფe7 38. ლe6+** შავები დანებდნენ.

ამ პარტიებში კარგად სჩანს ნ. გაფრინდაშვილის თამაშის მრავალფეროვნება, მისი სადებიუტო მომზადება, კრიტიკულ პოზიციებში სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი, კომბინაციური ნიჭი და სხვ.

ასეთი იყო ნ. გაფრინდაშვილის ზოგიერთი შემოქმედებითი მიღწევა პრეტენდენტთა ტურნირზე.

თ. გიორგაძე

# ლიდერთა შეხვედრა

ბაქო (ტელეფონით). 25 ნოემბერი. XXIX ჩემპიონატის VI ტურში ყურადღების ცენტრში იყო ლიდერების სპასკისა და ხოლმოვის შეხვედრა. პარტია ძალზე დაძაბულად მიმდინარეობდა. იყო მომენტი, როცა სპასკის ორი ზედმეტი პაიკიც კი ჰქონდა. მაგრამ ეტლების დაბოლოებაში ხოლმოვმა ვირტუოზულად ითამაშა და 53-ე სვლაზე ყაიმს მიაღწია.

ავერბახმა მოუგო შიანოვსკის, შამკოვიჩმა — გიპსლისს, პოლუგაევსკიმ — ნეჟმეტდინოვს, ყაიმით დამთავრდა გურგენიძე — ბრონშტეინის შეხვედრა. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ტალს ზედმეტი პაიკი აქვს ეტლების დაბოლოებაში კოცთან, მაგრამ მოგების გზები არ ჩანს. სმისლოვს უკეთესი შანსები აქვს ხასინთან, რთულ მდგომარეობაშია შეწყვეტილი ტაიმანოვ — კერესის, ვლადიმიროვ — სავონის პარტიები. ვასიუკოვის ავადმყოფობის გამო არ შედგა მისი შეხვედრა ბაგიროვთან.

VI ტურის შემდეგ ბ. სპასკის 5 ქულა აქვს, რ. ხოლმოვს, ი. ავერბახს და ლ. შამკოვიჩს — 4,5 ქულა თვითეულს.

# ახალი ვარსკვლავი

აჰა, ლულუნებს დიდების ლარი,
თავზე მტრედების გუნდი დაჰხარის,
შენ, ჩემო ნონა, ქართველი ქალის
სახელს შეჰმატე სხივი ახალი.

მეტოქე როცა ჰყრიდა „იარაღს“
შენ სწერდი მაშინ ბრწყინვალე ფურცელს.
მარტო ჭადრაკის დაფა კი არა
შენ ხალხის გული დაიპყრე უცებ.

შენ შემოგცქერის ათასი თვალი,
ირგვლივ ვაშა და ქება გაისმის,
ვამაყობ, დგეხარ ქართველი ქალის
თავდაჭერით და სიდარბაისლით.

ვიცი, არ გელის „ბრძოლა“ იოლი,
მწამს, მოსახდენი მალე მოხდება
და დაგშვენდება მთელ მსოფლიოში
ჭადრაკის ტახტზე გადედოფლება.

ვ. გორგანელი



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჰორიზონტზე ჩილის დროშა

ოთხი წელი არც ისე მცირე ხანია, მაგრამ ფეხბურთში, ეტყობა, დრო ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად გადის. თითქოს სულ ახლახან იყო მსოფლიოს სპორტული პრესა გართული შესარჩევი მატჩების დაუბოლავებელი პროგნოზით, ურთიერთსაწინააღმდეგო წინასწარმეტყველებით, ანალიზებით, იმედებით. განვლილ ზაფხულს ჟიულ რიმეს თასის წინასწარ შეჯიბრებათა ცხრილი თითქოს ამოუხსნელ საიდუმლოებას წარმოადგენდა, ახლა კი ბევრი რამ ნათელია. ყოველ შემთხვევაში, ჩილის ფინალური ტურნირის 16 მონაწილიდან 13 ცნობილია. ესენია: ბრაზილია, ჩილი, არგენტინა, კოლუმბია, უნგრეთი, მექსიკა, გფრ, ინგლისი, ურუგვაი, იტალია, შვეიცარია, სსრ კავშირი, ესპანეთი. დარჩა სულ სამად სამი ვაკანტური ადგილი და მათი შევსებაც სულ ახლო მომავლის ამბავია. დეკემბრის შუა რიცხვებში ფინალის სრული კომპლექტი — 16 გუნდი მზად იქნება ოქროს ქალღმერთის თასისათვის საბრძოლველად.

მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა კარგა ხნის წინ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ მისი საგანგებო სხდომა შედგება 2 თებერვალს სანტ-იაგოში, სადაც მოხდება ფინალისტთა კენჭისყრა და ჯგუფებად დაყოფა. მაგრამ ეს ალბათ ფორმალური აქტი იქნება, ვინაიდან საორგანიზაციო კომიტეტმა და მისმა პრეზიდენტმა კ. დიტბორნმა უკვე შეიმუშავეს პროექტი, სადაც 16 ფინალისტი დაყოფილია 4 ჯგუფად. აქ გათვალისწინებულია ყველა დეტალი, შემოწმებულია ყველა წვრილმანი და ამიტომ მოსალოდნელია, რომ ფიფა მას აუცილებლად დაამტკიცებს.

ჩემპიონატის ორგანიზატორები საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე იდგნენ, ვინაიდან საჭირო იყო ძალების თანაბრად განაწილება ისე, რომ არ განმეორებულიყო 1958 წლის ისტორია, როცა I ჯგუფში კენჭისყრის ძალით მოხვდა ოთხი ფავორიტი: ბრაზილია, სსრ კავშირი, ინგლისი და ავსტრია. და ეს მაშინ, როცა მაშინდელ ორგანიზატორებს იდეალური პროპორციით შეეძლოთ ოთხ ჯგუფში გაენაწილებიათ ამერიკის, დიდი ბრიტანეთის, დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთ ევროპის თითო ქვეყანა. ახლა ეს ხაოცარი გეომეტრიული სიმეტრია დარღვეულია. ამერიკა ფინალში წარმოდგენილია 6 გუნდით, ხოლო დიდი ბრიტანეთიდან მასში გავიდნენ მხოლოდ ინგლისელები და სავსებით შანსი ჯერ კიდევ აქვს შოტლანდიის ნაკრებს, რომელსაც უაღრესად ძნელი მატჩი ელის ჩეხოსლოვაკიის ძლიერ გუნდთან.

ჯგუფების შემადგენლობას ყოველ ფინალურ ტურნირში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ ამჯერად არანაკლები მნიშვნელობისაა ისიც, თუ ვინ რომელ ქალაქში ითამაშებს. მატჩები უნდა ჩატარდეს სანტ-იაგოში, ვინია-დელ-მარში, რანკაგუასა და არიკაში, მაგრამ თუ რანკაგუა და ვინია-დელმარი შედარებით ახლოს მდებარეობენ დედაქალაქთან და კლიმატიც დაახლოებით ერთნაირი აქვთ, არიკა შორს ჩრდილოეთით მდებარეობს, პერუს საზღვართან. აქ კი სულ სხვა ბუნებრივი პირობებია.

✦

VII მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ყველაზე დიდ სიურპრიზს წარმოადგენდა 1958 წლის ვიცე-ჩემპიონის შვეციის ნაკრების მარცხი. მართალია, ეს ის გუნდი არ იყო, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა 4 წლის წინ, არც ის, რომლითაც შვედები ფინალში აპირებდნენ გამგზავრებას. მწვრთნელი ჯ. რაინორი მხოლოდ მომავალი წლისათვის ელოდა გუნდის ძირითად ძალას — იტალიის, საფრანგეთისა და ესპანეთის პროფესიულ კლუბებში ლტოლვილ შვედ ფეხბურთელებს, ქვეჯგუფში კი იოლად გასვლას აპირებდა ბელგიისა და შვეიცარიის ფეხბურთელებთან. დასაწყისი შვედებისათვის მართლაც იოლი გამოდგა (4:0 შვეიცარიასთან, ორჯერ 2:0 ბელგიასთან), მაგრამ შვეიცარელებმა, რომელთაც ცნობილი მწვრთნელი კ. რაპანი უდგას სათავეში, აინაზღაურეს დანაკლისი, აიღეს რევანში შვედებთან და საბოლოოდ თანაბარი ქულები დააგროვეს მათთან ერთად — 6. საჭირო გახდა დამატებითი მატჩის ჩატარება და ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე იგი კ. რაპანის გუნდმა მოიგო ანგარიშით 2:1. ჩილის ფინალი შვეიცარელთათვის რეალობად იქცა.

დამატებითი მატჩის ჩატარება აუცილებლობად იქცა მეორე ჯგუფშიც, სადაც ფრანგებს „ცალი ფეხი" უკვე გადამდგარი ჰქონდათ ფინალში. ერთადერთი ქულა უნდა აელოთ მათ სოფიაში ბულგარეთის ნაკრებთან და ეს ქულა თითქოს განაღდებულიც იყო. ბულგარელი გულშემატკივრები სასოწარკვეთილნი უყურებდნენ წამმზომის ისარს, რომელიც ბოლო, 90-ე წუთს უახლოვდებოდა, ხოლო ტაბლოზე უცვლელად ეწერა 0:0 და აი, მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე, ფრანგების კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა 17 მეტრიდან, რაკაროვმა მცველთა კედელს ზევიდან გადაუგდო ბურთი, იქ გაიჭრა ილიევი და მეკარე ბერნარს, როგორც იტყვიან, ცხვირწინ ააცალა ბურთი—1:0. საფრანგეთისა და ბულგარეთის გუნდების დავა საბოლოოდ გადაწყდება 16 დეკემბერს მილანში, „სან სიროს" სტადიონზე. ეს იქნება მეტად საინტერესო მატჩი.

მესამე ჯგუფში ყველაფერი წარიმართა ზუსტად საფეხბურთო „სუბორდინაციის" შესაბამისად. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები ქულათა მაქსიმუმით გავიდა პირველ ადგილზე. იგივე ამბავი მოხდა მეოთხე ჯგუფშიც, თუმცა უნგრელებმა ერთი ქულა მაინც დაკარგეს ჰოლანდიის გუნდთან მატჩში.

✦

მდგომარეობა მეხუთე ჯგუფში კარგად ცნობილია ფეხბურთის მოყვარულთათვის. აქ მონაწილეობდა სსრ კავშირის ნაკრები, რომელმაც ოთხივე შეხვედრა მოუგო თურქეთისა და ნორვეგიის ფეხბურთელებს, რის შემდეგაც ე. წ. „სადაზვერვო" მატჩების ჩასატარებლად გაემგზავრა სამხრეთ ამერიკის სტადიონებზე.

გათამაშება მეექვსე ჯგუფში დაიწყო პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელის ა. პეიპეტეოს განცხადებით, რომ მისი გუნდისათვის თვით ინგლისელებიც კი არაფერს წარმოადგენდნენ. მაგრამ საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში პეიპეტეოს იცნობენ როგორც ტრაბახა და თავშეუკავებელ კაცს. რასაკვირველია, მისი მკვეხარა სიტყვები არც ამჯერად გამართლდა და ჩილში გამგზავრების უფლება სავსებით კანონიერად მოიპოვეს ინგლისელებმა, თუმცა აქაური სპეციალისტები ჯერჯერობით არ არიან კმაყოფილი თავიანთი გუნდით: იგი ჯერ კიდევ „კოჭლობს".

მსოფლიოს ყოფილ ორგზის ჩემპიონს — იტალიის ნაკრებს, რომელიც შემდგომ გათამაშებებში ახლოსაც აღარ გაჰკარებია მაღალ ადგილებს, როგორც იქნა გაუღიმა ბედმა. იგი ქვეჯგუფში მოხვდა რუმინელებთან ერთად, მაგრამ მათ სრულიად მოულოდნელად უარი განაცხადეს თამაშებზე და იტალიელებმა უბრძოლველად აიწიეს ერთი საფეხურით მაღლა, სადაც მათ მოელოდათ 2 მატჩი აფრიკა-აზიის ქვეჯგუფებში გამარჯვებულ გუნდთან. ეს იყო ისრაელი.

რა თქმა უნდა, იტალიელთათვის ისრაელის ნაკრები პრობლემას არ წარმოადგენს. ორივე მატჩი მოგებულ იქნა ანგარიშით 4:2 და 6:0, თუმცა პირველ მატჩში, რომელიც ტელ-ავივში შედგა, შესვენებისათვის წინ იყვნენ ისრაელები — 2:0. საინტერესოა აღინიშნოს, რომ იტალიის ნაკრებს ახლა ჰყავს თავდასხმის უძლიერესი ცენტრალური სამეული, სამივე უცხოელი ფორვარდი, რომლებმაც სულ ახლახან მიიღეს იტალიის ქვეშევრდომობა: ანჯელილო-ალტაფინი-სივორი.

მომდევნო, VIII ჯგუფში კარგა ხანს წინ იყვნენ შოტლანდიელები. მათ სულ ცოტა აკლდათ ფინალში გასვლას, მაგრამ აქ ლიდერს უკანასკნელ მომენტში წამოეწია ჩეხოსლოვაკიის ძლიერი ნაკრები, რომელსაც ირლანდიელებთან გამარჯვების შემდეგ (7:1) ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვს შოტლანდიელებთან — 6. დამატებითი მატჩი შოტლანდიისა და ირლანდიის გუნდებს შორის გამოავლენს ფინალისტს.

როგორც იქნა, მიაღწიეს ფინალს ესპანელებმა, რომლებსაც მსოფლიო ჩემპიონატის ამ უმაღლეს დონეზე არ უთამაშიათ 1954 წლიდან. მაგრამ არც ეს წარმატება ყოფილა მოპოვებული იოლ ბრძოლაში. ქვეყანამ, რომელსაც ჰყავს „რეალ-მადრიდის" კატეგორიის გუნდი, ძლივს აიღო საჭირო ქულა ორ მატჩში უელსთან (2:1, 1:1), რის შემდეგ შეხვდა მაროკოს სუსტ გუნდს და აქაც ძლივს შეძლო გამარჯვების მოპოვება — 1:0 და 3:2.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ფინალში გასვლა გარანტირებული აქვთ იუგოსლავიის ფეხბურთელებსაც. მას შემდეგ, რაც იუგოსლაველებმა მძიმე ბრძოლის შემდეგ მოიცილეს გზიდან პოლონეთის ძლიერი გუნდი (2:1, 1:1), მათი პერსპექტივა ნათელი და საიმედო გახდა. გადამწყვეტ ეტაპზე იუგოსლაველებმა ბელგრადში ანგარიშით 5:1 დაამარცხეს სამხრეთ კორეის გუნდი და ახლა გაცხოველებით ემზადებიან განმეორებითი მატჩისათვის, რომელიც სეულში უნდა შედგეს 26 ნოემბერს.

✦

სამხრეთ ამერიკა ფეხბურთის სენსაციათა ქვეყანაა და ეს ტრადიცია არც ამჯერად იქნა დარღვეული. პარაგვაელი ფეხბურთელები დიდხანს უცდიდნენ ხანგრძლივი ბრძოლის დამთავრებას სახელმწიფოთა მთელ ლაბირინთში (მექსიკა, აშშ, სურინამი, ანტილიის კუნძულები, კოსტა-რიკა, გვატემალა და გონდურასი). როცა დამთავრდა ეს მრავალსაფეხურიანი გათამაშება მათს შორის, გამოირკვა, რომ საბოლოოდ პარაგვაისთან თამაშის უფლება მოიპოვა მექსიკის გუნდმა და სენსაციაც სწორედ აქ მოხდა. მექსიკელებმა მოიგეს ერთი მატჩი (1:0), ერთიც ფრედ დაამთავრეს (0:0) და ახლა მოთმინებით უცდიან ჩილში გამგზავრებას.

მეორე სენსაცია — ესაა პერუელთა მარცხი ორ მატჩში კოლუმბიის ნაკრებთან. მართალია, პერუ არ მიეკუთვნება სამხრეთამერიკული ფეხბურთის „გრანდების" რიცხვს, მაგრამ კოლუმბიასთან შედარებით მისი შანსები გაცილებით მეტად ფასობდა. პერუელებმა ამ ვარიანტშიც ვერ სძლიეს მეტოქეს და დარჩნენ ფინალის გარეშე.

სხვა ქვეჯგუფებში სრული „წესრიგი" სუფევდა. არგენტინამ დაამარცხა ეკვადორი, ხოლო ურუგვაიმ — ბოლივია.

ამრიგად, ჟიულ რიმეს თასის გათამაშების შესარჩევი ეტაპი შეიძლება ძირითადად დამთავრებულად ჩაითვალოს. წინაა ჩილი — ფინალური ბრძოლა ოქროს ქალღმერთის თასისათვის.

## შეხვედრების შედეგები ჯგუფებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| **I ჯგუფი** | |
| შვეცია-შვეიცარია | 4:0, 2:3 |
| შვეცია-ბელგია | 2:0, 2:0 |
| შვეიცარია-ბელგია | 4:2, 2:1 |
| დამატებითი მატჩი შვეიცარია-შვეცია | 2:1 |
| **II ჯგუფი** | |
| ბულგარეთი-საფრანგეთი | 0:3, 1:0 |
| ბულგარეთი-ფინეთი | 2:0, 3:1 |
| საფრანგეთი-ფინეთი | 2:1, 5:1 |
| დამატებითი მატჩი საფრანგეთი - ბულგარეთი შედგება 16 დეკემბერს მილანში. | |
| **III ჯგუფი** | |
| გფრ-საბერძნეთი | 3:0, 2:1 |
| გფრ-ჩრ. ირლანდია | 4:3, 2:1 |
| საბერძნეთი-ჩრ. ირლანდია | 2:1, 0:2 |
| **IV ჯგუფი** | |
| უნგრეთი-გდრ | 2:0, 3:2 |
| უნგრეთი-ჰოლანდია | 3:0, 3:3 |
| გდრ-ჰოლანდია | 1:1 |
| **V ჯგუფი** | |
| სსრ კავშირი-თურქეთი | 1:0, 2:1 |
| სსრ კავშირი-ნორვეგია | 5:2, 3:0 |
| თურქეთი-ნორვეგია | 1:0, 2:1 |
| **VI ჯგუფი** | |
| ინგლისი-პორტუგალია | 1:1, 2:0 |
| ინგლისი-ლუქსემბურგი | 9:0, 4:1 |
| ლუქსემბურგი - პორტუგალია | 0:6, 4:2 |
| **VII ჯგუფი** | |
| „ა" ქვეჯგუფი | |
| გავიდა იტალია, ვინაიდან რუმინეთმა უარი განაცხადა თამაშზე. | |
| „ბ" ქვეჯგუფი | |
| ისრაელი-კიპრი | 1:1, 6:1 |
| ისრაელი-ეთიოპია | 1:0, 3:2 |
| ფინალი | |
| იტალია-ისრაელი | 4:2, 6:0 |
| **VIII ჯგუფი** | |
| ჩეხოსლოვაკია-შოტლანდია | 4:0, 2:3 |
| ჩეხოსლოვაკია-ირლანდია | 3:1, 7:1 |
| შოტლანდია-ირლანდია | 4:1, 3:0 |
| დამატებითი მატჩი ჩეხოსლოვაკია - შოტლანდია შედგება 29 ნოემბერს ბრიუსელში. | |
| **IX ჯგუფი** | |
| „ა" ქვეჯგუფი | |
| ესპანეთი-უელსი | 2:1, 1:1 |
| „ბ" ქვეჯგუფი | |
| მაროკო-ტუნისი | 2:1, 1:2, 1:1 |
| (კენჭისყრით გავიდა მაროკო). | |
| განა-ნიგერია | 4:1, 2:2 |
| მაროკო-განა | 0:0, 1:0 |
| ფინალი | |
| ესპანეთი-მაროკო | 1:0, 3:2 |
| **X ჯგუფი** | |
| „ა" ქვეჯგუფი | |
| იუგოსლავია-პოლონეთი | 2:1, 1:1 |
| „ბ" ქვეჯგუფი | |
| სამხ. კორეა-იაპონია | 2:1, 2:0 |
| ფინალი | |
| იუგოსლავია-სამხ. კორეა | 5:1 |
| მეორე მატჩი შედგება სეულში 26 ნოემბერს. | |
| **XI ჯგუფი** | |
| არგენტინა-ეკვადორი | 6:3, 5:0 |
| **XII ჯგუფი** | |
| ურუგვაი-ბოლივია | 1:1, 2:1 |
| **XIII ჯგუფი** | |
| კოლუმბია-პერუ | 1:0, 1:1 |
| **XIV ჯგუფი** | |
| მექსიკა-პარაგვაი | 1:0, 0:0 |

# პროექტით გათვალისწინებული

ფეხბურთში VII მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა შეიმუშავა ფინალურ გათამაშებაში მონაწილე გუნდების ჯგუფებად დაყოფის პროექტი. უცხოეთის სპორტულ წრეებში ვარაუდობენ, რომ ეს პროექტი უცვლელად დამტკიცდება ფიფა-ს სხდომაზე 1962 წლის 2 თებერვალს.

**I ჯგუფი** (მატჩები ჩატარდება ქ. არიკაში): ურუგვაი, მექსიკა, უნგრეთი და იუგოსლავია (ან სამხრეთ კორეა).

**II ჯგუფი** (მატჩები ჩატარდება ქ. ვინია-დელმარში): ბრაზილია, იტალია, შვეიცარია და ესპანეთი.

**III ჯგუფი** (მატჩები ჩატარდება ქ. რანკაგუაში): არგენტინა, გფრ, ინგლისი და ჩეხოსლოვაკია (ან შოტლანდია).

**IV ჯგუფი** (მატჩები ჩატარდება ქ. სანტ-იაგოში): ჩილი, კოლუმბია, სსრ კავშირი და საფრანგეთი (ან ბულგარეთი).

# ფინანსური კრახი

საფრანგეთის კურორტ შამონის მიდამოებში მრავალჯერ უცდიათ თავიანთი ძალები ევროპის საუკეთესო სამთო-მოთხილამურეებს. მომავალი წლის 10-18 თებერვალს შამონი ყურადღების ცენტრში მოექცევა, ვინაიდან აქ გაიმართება მსოფლიო პირველობა სლალომში, გიგანტურ სლალომსა და სწრაფდაშვებაში.

შეჯიბრების ორგანიზატორები დიდი ხანია შეუდგნენ სამზადისს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალი ტრასების მოწყობასა და ძველთა სრულყოფას, რომელთა გამოცდა მოხდება მსოფლიო პირველობის გახსნამდე მცირე ხნით ადრე, საფრანგეთის უძლიერეს მოთხილამურეთა შერჩევითი შეჯიბრების დღეებში.

მსოფლიო პირველობის ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე მიიღო 33 განაცხადი. შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ავსტრიის, გდრ-ს, ინგლისის, ჰოლანდიის, ბელგიის, ბულგარეთის, საბერძნეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ჩილის, ნორვეგიის, იტალიისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენებმა.

სათხილამურო სპორტის მოყვარულები ამ შეჯიბრებაზე ელიან აშშ-ს საუკეთესო სპორტსმენებსაც. მაგრამ ევროპაში გამომგზავრება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამ გზაზე დაბრკოლებად ატლანტიკის ოკეანე კი არ აღიმართა, არამედ... ფინანსური მდგომარეობა. ამერიკელებმა რომ თავისი გუნდები ზაკოპანეში (შეჯიბრების ერთი ნაწილი პოლონეთში ტარდება) და შამონში გაგზავნონ, ამისათვის მათ სჭირდებათ 60 ათასი დოლარი. ამერიკის მოთხილამურეთა კავშირს კი მხოლოდ 25 ათასი დოლარი გააჩნია. კავშირის პრეზიდიუმის სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია: „თუ ის თანხა, რომელიც ჩვენ ახლა გვაკლია, ვერ შევაგროვეთ ნებაყოფლობით შემოწირულებათა შედეგად, ჩვენ ვერ შევძლებთ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მიღებას. მთავრობისაგან ჩვენ არაფერს ველით".

ამერიკის სპორტსმენები იძულებული გახდნენ შემოწირულებისათვის მიემართათ კერძო პირებისათვის. ეს მათი განცხადება სერიოზული ბრალდებაა ამერიკის მთავრობისადმი. აშშ-ს მთავრობას სპორტსმენებისათვის არა აქვს 35 ათასი დოლარი, მაგრამ იმავე მთავრობამ მიმდინარე წლის აგვისტოში მიიღო გადაწყვეტილება სამხედრო ხარჯების ასტრონომიულ ოდენობამდე — 46,8 მილიარდ დოლარამდე გაზრდის. ამერიკელთა სამხედრო წრეები თავს შესანიშნავად გრძნობენ. რაც შეეხება სპორტსმენებს, მათ ისღა დარჩენიათ, რომ ეთერში დაგზავნონ რადიოგრამა: „იხსენით ჩვენი სულები"...

## რეკლამა მოითხოვს მსხვერპლს

1875 წლის 25 აგვისტოს ინგლისელმა კაპიტანმა მ. ვებმა 21 საათსა და 45 წუთში პირველად მსოფლიოში გადასცურა ლა-მანში დუვრიდან (ინგლისი)-ბულონამდე (საფრანგეთი). ეს იყო ზღაპრული საოცრება იმ დროისათვის და რამდენიმე საათის შემდეგ მ. ვები ცნობილი გახდა მთელს მსოფლიოში.

მაგრამ ინგლისელი კაპიტანის დიდება ხანმოკლე გამოდგა, რამდენიმე წლის შემდეგ მან სცადა ნიაგარის ჩანჩქერის გადალახვა და დაიღუპა.

არც მ. ვები და არც მისი შემდგომი მრავალრიცხოვანი მიმბაძველები წმინდა სპორტული მიღწევებისათვის არ ცდილან ხიფათში ჩაეგდოთ საკუთარი თავი. ისინი, როგორც წესი, ხელშეკრულებას დებდნენ მსხვილ ფირმებთან, მრეწველებთან, რომელთათვისაც ადამიანის ბრძოლა ლა-მანშთან და ნიაგარასთან რეკლამის საუკეთესო საშუალებაა. ამგვარი სარისკო ფათერაკების მაძიებელნი ყოველთვის მოიპოვებიან ბურჟუაზიულ სპორტში. ზოგიერთ მათგანს ბედი გაუღიმებს ხოლმე, უმეტესობას კი დაღუპვა ელის.

აალაც, XX საუკუნის 60-იან წლებში, მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან გასწირონ თავი ფულის საშოვნელად.

ცოლ-ქმარმა იანა და ფრედ ბალდაზარებმა სულ ახლახანს გადაწყვიტეს ლა-მანშის გადალახვა წყალქვეშ, ოთხი მეტრის სიღრმეზე აქვალანგის საშუალებით. იანამ და ფრედმა უკვე ორჯერ სცადეს გაცურვის შესრულება, მაგრამ წარუმატებლად. 11 კილომეტრი აკლდა დისტანციის დამთავრებას, როცა ფრედი ნახევრად გაყინული ამოიყვანეს წყლიდან. მაგრამ ხელშეკრულება ხელშეკრულებაა და ექსპერიმენტები გრძელდება.



# პირველი ნახევრის შემდეგ

უნგრეთის 1961-62 წლების ჩემპიონატში დამთავრდა პირველი ნახევარი. ტრადიციის თანახმად, გუნდებს მიეცემათ ხანგრძლივი შესვენება, ხოლო ეროვნული ნაკრები გასტროლებზე გაემგზავრება სამხრეთ ამერიკაში. ჩემპიონატის მეორე წრე მხოლოდ მომავალი წლის თებერვალში დაიწყება.

ჩემპიონატში 14 გუნდი მონაწილეობს. უნგრეთის ჩემპიონმა, ბუდაპეშტის „ვაშაშმა" დასაწყისში რამდენიმე მარცხი განიცადა, მაგრამ შემდეგ გამოასწორა მდგომარეობა. პირველი წრის ფინიშზე ჩემპიონი განსაკუთრებით ძლიერად თამაშობდა და 19 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლიდერის შეხვედრას „ტატაბანიასთან", რომელიც წელს საუცხოოდ თამაშობს. „ვაშაშმა" გაიმარჯვა ანგარიშით 3:0, აქედან 2 ბურთი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა. „ვაშაშის" შემადგენლობაში განსაკუთრებით გამოირჩევიან ჭაბუკი მეკარე სენტმიხალი, რომელიც გროშიჩის მეტოქედ ითვლება. გამოცდილ ნახევარმცველთა წყვილი ბუნჯაკი-ბერენდი, თავდამსხმელები მახოში (№ 9) და პალი (№ 11). 17 ქულა მოაგროვეს „ტატაბანიამ" და „დოჟამ" (უიპეშტი). „ტატაბანიას" შემადგენლობაში ერთადერთი ცნობილი ფეხბურთელია მეკარე გროშიჩი, რომელიც კვლავ ძლიერად თამაშობს. მან გაუშვა ყველაზე ნაკლები — 13 ბურთი. „დოჟა" ძლიერი შემადგენლობის მიუხედავად არათანაბრად თამაშობს. ამ გუნდის შემადგენლობა საგრძნობლად გაახალგაზრდავდა. „დოჟაში" გამოირჩევიან ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელები შოვარი (№ 4), შოლიმოში (№ 5), გერეში (№ 8) და კუხარსკი (№ 10). 14-14 ქულა მოაგროვეს ბუდაპეშტის ცნობილმა კლუბებმა: „ჰონვედმა", მტკ-მ და „ფერენცვაროშმა". „ჰონვედი" გასულ წელთან შედარებით უკეთესად თამაშობს, მაღალი შედეგი აქვს თავდასხმას, რომლის ლიდერი ტიხი კვლავინდებურად პირველ ადგილზეა სნაიპერთა ცხრილში.

„ფერენცვაროშის" უძლიერესი თავდამსხმელი ალბერტი კარგა ხანს ავად იყო, მაგრამ ამას წინათ გამოჯანმრთელდა. როგორც უცხოელი მიმომხილველები აღნიშნავენ, ალბერტმა დასძლია ხანგრძლივი კრიზისი და მსოფლიო ჩემპიონატისათვის კვლავ ძველებური ენერგიით და შეუპოვრობით ემზადება. ამით ალბერტმა სწორედ „სულზე მიუსწრო" ნაკრების ხელმძღვანელობას, რომელიც ხელის ჩაქნევასა და ახალი ცენტრფორვარდის ძებნას აპირებდა.

საზამთრო შესვენების დროს უნგრეთის უძლიერესი გუნდები საზღვარგარეთ გაემგზავრებიან. „ჰონვედი" ეწვევა ამერიკას. იგი ითამაშებს კუბაში, მექსიკაში, ურუგვაისა და ბრაზილიაში. ხოლო მტკ განაგრძობს თამაშს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. პირველ მატჩში მან ანგარიშით 3:0 დაამარცხა ბერლინის „ფორვერტსი". ბუდაპეშტის „ვაშაში", რომელმაც უკვე დაკარგა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება, უახლოეს ხანებში მატჩებს გამართავს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

ყოველივე ამასთან ერთად ეროვნული ნაკრები ლაიოშ ბაროტის ხელმძღვანელობით მეტი ინტენსიურობით განაგრძობს მზადებას მსოფლიო ჩემპიონატისათვის.

• • •

**სურათზე:** უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი.

**ინგლისი.** ამ ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატის მე-18 ტურში საყოველთაო ყურადღების ცენტრში იდგა „ბერნლისა" და „ვულვერჰემპტონ უონდერერსის" შეხვედრა. მატჩი, რომელსაც მაყურებელთა დიდი რაოდენობა ესწრებოდა, დამთავრდა ფრედ — 3:3. „იპსვიჩმა" დაამარცხა „მანჩესტერ იუნაიტედი" — 4:1, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონმა" — „შეფილდ იუნაიტედი" — 3:0, ხოლო „არსენალმა" — „ნოტინჰამ ჰორესტი" — 2:1. ფრედ (0:0) ითამაშეს „შეფილდ უენსდეიმ" და „ტოტენჰემ ჰოტსპურმა".

სატურნირო ცხრილში კვლავინდებურად წინაა „ბერნლი" — 24 ქულა. „ევერტონს" აქვს 22 ქულა, „იპსვიჩსა" და „ტოტენჰემს" — 21 ქულა.

**საფრანგეთი.** მე-8 ტურში გამოტოვებული მატჩი შედგა „სედანსა" და „ნიმს" შორის. ამ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველი ადგილების განაწილებისათვის, მაგრამ მატჩმა არ გაამართლა მოლოდინი, „ნიმმა" დამარცხება განიცადა დიდი ანგარიშით — 1:5. ამის შემდეგ „სედანმა" კიდევ ერთ გამარჯვებას მიაღწია („სტრასბურგთან" — 5:0) და სათავეში ჩაუდგა გათამაშებას.

ბოლო ტურში „ნიმმა" წააგო შეხვედრა „ლანსთან" — 1:3, ხოლო გასული წლის ჩემპიონმა „მონაკომ" — „რეიმსთან" — 0:1. პარიზის „რესინგმა" ასტრონომიული ანგარიშით მოუგო „მეცს" — 11:2.

საფრანგეთის ჩემპიონატში ამჟამად ასეთი მდგომარეობაა: „სედანი" — 25 ქულა, „ნიმი" — 24, „რეიმსი" და „რენი" — 23, „ლანსი" — 22, „მონაკო" — 20.

**იტალია.** მიმდინარე გათამაშებაში ჯერჯერობით დამაჯერებლად ლიდერობს „ინტერნაციონალე", თუმცა მან თავისი ბოლო მატჩი ფრედ დაამთავრა „სამპდორიასთან" — 0:0. აგრეთვე ფრედ (1:1) ითამაშეს „ფიორენტინამ" და „რომამ". სენსაციური შედეგით დამთავრდა „მილანის" მატჩი შარშანდელ ჩემპიონ „იუვენტუსთან". ჩემპიონმა განიცადა მარცხი — 1:5.

„ინტერნაციონალეს" მე-12 ტურის შემდეგ ჰქონდა 19 ქულა, „ტორინოსა" და „ბოლონიას" — 16-16, ხოლო „რომას", „ფიორენტინას", „მილანსა" და „ატალანტას" — 15-15 ქულა თვითეულს.



თბილისში, „ბურევესტნიკის" საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს დედაქალაქის მასობრივი საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობს 40 პირველთანრიგოსანი.

**სურათზე:** მონაწილენი შეჯიბრების დროს. ფოტო ა. ვართანოვისა.

რედაქტორი ი. უზულავა


# დღეს!

„ბურევესტნიკის" სტადიონზე მეგობრობის მატჩი

## მძლეოსნობაში

მონაწილეობენ: კიევის, ხარკოვის, ვოლგოგრადის და თბილისის ნაკრები გუნდები.

დასაწყისი დილის 10 საათზე.



გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05692